საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს

ვახტანგ გომელაურს

რეკომენდაცია
სექსუალური შევიწროების სავარაუდო ფაქტის არაეფექტიანი შესწავლის (პოზიტიური ვალდებულების შეუსრულებლობის) შესახებ

შემუშავებულია „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20[1] მუხლის და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად

ბატონო ვახტანგ,

2019 წლის 23 ივლისს საქართველოს სახალხო დამცველს ელექტრონული ფოსტის მეშვეობით მომართა ესპანეთის მოქალაქემ ა.მ.-მ (შემდგომში განმცხადებელი). განცხადების თანახმად, ის საქართველოში იმყოფებოდა ტურისტული ვიზიტით ორ მეგობართან მ.გ.-თან და რ.კ.-თან ერთად. განმცხადებელი და მ.გ. არიან მდედრობითი სქესის, ხოლო რ.კ. არის მამრობითი სქესის. განმცხადებელი მიუთითებს „მეფე ერეკლეს აბანო“-ში მომხდარ სექსუალური შევიწროვების ფაქტზე. აღწერილი ფაქტობრივი გარემოებების თანახმად, სერვისის განმახორციელებელმა კაცმა (შემდგომში მექისე) მხოლოდ ქალებს მოსთხოვა სრულად გაშიშვლება და ცდილობდა მათ მკერდს შეხებოდა. განმცხადებელი ასევე მიუთითებს, რომ გამოიძახეს საპატრულო ეკიპაჟი, რომელმაც, მოგვიანებით, ის და მისი მეგობრები, ოქმის შესადგენად პოლიციის განყოფილებაში გადაიყვანეს.

1. **ფაქტობრივი გარემოებები**

1.1. გასაუბრება განმცხადებელთან და მის მეგობრებთან

2019 წლის 27 ივლისს სახალხო დამცველის წარმომადგენელმა პირადად გამოკითხა განმცხადებელი და მისი ორი მეგობარი, ესპანეთის მოქალაქეები - მ.გ. და რ.კ.. მათი განცხადებით, ისინი საქართველოში ტურისტული ვიზიტით იმყოფებოდნენ. 21 ივლისს, შუადღეს მივიდნენ აბანოში და დაჯავშნეს დრო მასაჟისთვის. აბანოს მენეჯერმა მათ წარუდგინა მექისე ქალი, რომელსაც მათთვის შესაბამის პროცედურები უნდა ჩაეტარებინა. 20:00 საათზე განმცხადებელი და მისი მეგობრები მივიდნენ პროცედურაზე, რა დროსაც მენეჯერმა ისინი შესაბამის ოთახში შეუშვა. 15 წუთის შემდეგ მათთან შევიდა მექისე კაცი სახეხი ღრუბლით და წყლით. მართალია, მათ იცოდნენ, რომ მასაჟი/ქისა მექისე ქალს უნდა გაეკეთებინა, თუმცა, მიიჩნიეს, რომ კაცი მექისე მამაკაცის - რ.კ.-ს მომსახურების მიზნით შევიდა. როგორც განმცხადებელი მიუთითებს, მექისე არ საუბრობდა ინგლისურად. მან

პირველად მ.გ.-ს მიმართა და მიანიშნა, რომ საცურაო კოსტიუმი მთლიანად გაეხადა. მ.გ.-ს გაუკვირდა, არ იცოდა ქართული მასაჟის თავისებურებები და დააზუსტა, ხომ ნამდვილად ყველაფერი უნდა გაეხადა. საბოლოოდ, მას მთლიანდ გაშიშვლება მოუწია. მ.გ.-მ აღნიშნა, რომ პროცედურის განმავლობაში ის იყო დაძაბული და ჰქონდა უსიამოვნო შეგრძნება, რადგან მოუწია გაშიშვლება. მან ასევე აღნიშნა, რომ მექისემ მასაჟი გაუკეთა მთელ სხეულზე, მათ შორის, მკერდზე. მ.გ.-ს შემდეგ მექისემ მასაჟი რ.კ.-ს გაუკეთა, თუმცა, მას საცურაო კოსტიუმის გახდა არ მოსთხოვა. ამის შემდეგ, მექისემ განმცხადებელს სთხოვა სრულიად გაშიშვლება, რაზეც ა.მ.-მ უარი განაცხადა და საცურაო კოსტიუმის ქვედა ნაწილი არ გაუხდია. პროცედურის განმავლობაში ა.მ. მუცელზე იწვა. როდესაც მექისემ მასაჟის გაკეთება დაასრულა, ა.მ.-ს გადმობრუნება მოსთხოვა და დაიწყო მისი მკერდის მასაჟი. განმცხადებელმა აღნიშნული გააპროტესტა, მექისე სექსუალურ შევიწროებაში დაადანაშაულა და დაუძახა მენეჯერს.

ამის შემდეგ, განმცხადებელმა დაურეკა მეგობარს, გ.დ.-ს რომელმაც გამოიძახა საპატრულო პოლიცია. ამ დროს მენეჯერმა მდგომარეობის გამოსწორება სცადა - მათ მომსახურების ფულის უკან დაბრუნება შესთავაზა და რესტორანში დაპატიჟა, რაზეც განმცხადებელმა და მისმა მეგობრებმა უარი განაცხადეს. განმცხადებელმა აღნიშნა, რომ პოლიციასთან მის საუბარს ესპანურად გ.დ. და მისი მეუღლე - ა.ს. თარგმნიდნენ. განმცხადებლის განმარტებით, პოლიციამ ისინი გამოკითხა ქუჩაში, რა დროსაც, განმეორებით ეკითხებოდნენ, *რა იყო მისი მიზანი? მექისის დაკავება უნდოდა?* და თუ ეს იყო მისი მიზანი, მაშინ ის *საქართველოს ვერ დატოვებდა.* განმცხადებელმა განმარტა, რომ ის იყო ტურისტი, შესაბამისად, საქართველოში ვერ დარჩებოდა და მისი მიზანი სექსუალური შევიწროების დადასტურება იყო.

როგორც განმცხადებელმა და მისმა მეგობრებმა სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელთან განმარტეს, ქუჩაში პოლიციელებთან გასაუბრების დროს, რასაც მექისეც ესწრებოდა, რამდენჯერმე მოუწიათ მომხდარის, მათ შორის სექსუალური ხასიათის დეტალების გამეორება. ამის შემდგომ, განმცხადებელი და მისი მეგობრები გადაიყვანეს პოლიციის განყოფილებაში, გამოიძახეს ინგლისური ენის თარჯიმანი და კიდევ ერთხელ გამოკითხეს მომხდართან დაკავშირებით. განმცხადებელს მუდმივად ეკითხებოდნენ, *რა უნდოდათ? უნდათ რომ ის კაცი დაიჭირონ?* კვლავ გაუმეორეს თუ *მათი მიზანი ეს იყო, მაშინ ისინი საქართველოს ვერ დატოვებდნენ.* განმცხადებელმა აღნიშნა, რომ მსგავსი კითხვები და ქვეყნის დატოვების აკრძალვა იყო მისი გადარწმუნების მცდელობა, განაცხადი გაეკეთებინა სექსუალური შევიწროების ფაქტის შესახებ.

განმცხადებელმა პოლიციელებს განუმარტა, რომ მისი მიზანი იყო საქმის სექსუალური შევიწროების კონტექსტში შესწავლა. გამოკითხვის ბოლოს განმცხადებელს ხელი მოაწერინეს ქართულად შედგენილ დოკუმენტებზე. ა.მ. თარჯიმანს სთხოვა ოქმის თარგმნა, თუმცა, მას განუცხადეს, რომ საჭირო არ იყო. ამის შემდეგ მის მეგობრებს - მ.გ.-ს და რ.კ.-ს სთხოვეს დოკუმენტებზე ხელმოწერა. თავდაპირველად მათ უარი განაცხადეს ხელის მოწერაზე, რადგან არ ესმოდათ ოქმების შინაარსი. პოლიციელმა განუმარტა, რომ ხელმოწერა

სავალდებულო იყო, *წინააღმდეგ შემთხვევაში სახლში ვერ წავიდოდნენ.* ამასთან დაკავშირებით, მ.გ.-მ და რ.კ.-მ ბევრი იკამათეს პოლიციელებთან, მაგრამ რადგან დილის 05:30 საათი იყო და ძალიან დაღლილები იყვნენ, მათთვის უცნობ დოკუმენტებს მოაწერეს ხელი და შენობა დატოვეს. განმცხადებელმა და მისმა მეგობრებმა აღნიშნეს, რომ მათ ამ დოკუმენტების ასლები არ გადასცეს.

1.2. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან წარმოებული კორესპონდენცია

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შემდგომში სამინისტრო) პირველი საპასუხო წერილის თანახმად, ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს, საგამოძიებო სამმართველოში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის N--- საქმეზე, აბანოს ქუჩაზე არსებულ გოგირდის აბანოში, მომხდარ ფაქტებთან დაკავშირებით. ასევე, ვინაიდან გამოძიება მიმდინარეობს, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-18 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე, სამინისტრომ უარი განაცხადა რაიმე სახის მტკიცებულების წარმოდგენაზე. ვინაიდან საპასუხო წერილი არ პასუხობდა დასმულ შეკითხვებს, სახალხო დამცველმა განმეორებით მიმართა მოპასუხეს და გამოითხოვა დეტალური ინფორმაცია. სამინისტროს მეორე წერილის თანახმად, გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 185-ე მუხლის პირველი ნაწილით, რომელიც ითვალისწინებს მესაკუთრის ან მფლობელის ქონებრივ დაზიანებას.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166[1] მუხლის თანახმად, საჯარო სივრცეში სექსუალური შევიწროება სამართალდარღვევაა, რომელზეც აღსრულების მექანიზმად შინაგან საქმეთა სამინისტროა განსაზღვრული. თუმცა, განმცხადებლის მიერ სადავოდ გამხდარი ფაქტები შესწავლილი არ ყოფილა სექსუალური შევიწროების კონტექსტში.

სახალხო დამცველის აპარატმა მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტს და მოითხოვა საქმეში არსებული მტკიცებულებების გამოკვლევა, კერძოდ, რატომ არ იქნა საქმე შესწავლილი სექსუალური შევიწროების ფარგლებში. საპასუხო წერილის თანახმად, *აღნიშნული საქმე შესწავლილი იქნა სექსუალური შევიწროების ჭრილშიც, მოწმეებს დაესვათ რელევანტური კითხვები სექსუალური შევიწროების გამოკვეთის მიზნით. გამოკითხვის დროს აღნიშნულმა პირებმა განაცხადეს, რომ მათ მიმართ ადგილი არ ჰქონია სექსუალურ შევიწროებას, სექსუალურ ძალადობას ან სხვა რაიმე სახის იძულებას. მოწმეთა განმარტებით, ადგილი ჰქონდა გაუგებრობას და მათ არავის მიმართ არ აქვთ პრეტენზია.*

1.3. გასაუბრება მოწმეებთან

2019 წლის 8 ოქტომბერს სახალხო დამცვლის აპარატის წარმომადგენელმა გამოკითხა განმცხადებლის მეგობრები - გ.დ. და ა.ს., რომლებიც შემთხვევის ადგილზე ა.მ.-ს თხოვნით მივიდნენ. გ.დ.-ს განცხადებით, მან საპატრულო პოლიციის წარმომადგენლებს განუმარტა, რომ სექსუალური შევიწროება არის ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, თუმცა,

როგორც მოწმე მიუთითებს, პოლიციელებს არ ჰქონდათ ამ საკითხებზე სათანადო სამართლებრივი ცოდნა. კერძოდ, პოლიციელები გ.დ.-ს ეკითხებოდნენ, *რა იყო მათი მიზანი? რა უნდა გააკეთოს პოლიციამ? მექისე უნდა დააპატიმრონ? ნუთუ ასეთი მნიშნელოვანია ეს საქმე?* ა.ს.-მ დამატებით აღნიშნა, რომ მათი გამოკითხვა ქუჩაში, აბანოს წინ, მექისის, აბანოს სხვა თანამშრომლების და შემთხვევითი გამვლელების თანდასწრებით გრძელდებოდა ორი საათის განმავლობაში. ადგილზე რამდენიმე საპატრულო ეკიპაჟი მოვიდა და გასაუბრებებს სამხრე კამერებზე იწერდნენ, მოგვიანებით კი გამომძიებელიც მოვიდა. შესაბამისად, მომხდარი ფაქტები, მათ შორის ინტიმური ხასიათის დეტალები - რომ მექისემ განმცხადებელს მკერდი დაუზილა, დაახლოებით შვიდჯერ გაიმეორეს სხვადასხვა პოლიციელთან ქუჩაში გასაუბრების დროს. რამდენჯერმე ერთი და იმავე ამბის გამეორების და ქუჩაში გამოკითხვის გამო ა.მ. თავს ცუდად გრძნობდა და ითხოვდა მის გადაყვანას პოლიციის განყოფილებაში, სადაც უფრო ცივილიზებულად წარიმართებოდა საუბარი. მოწმეებმა დაადასტურეს, რომ ყველა პოლიციელთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ განმცხადებლის ინტერესი შესაბამისი სამართლებრივი რეაგირება და სექსუალური შევიწროების ფაქტის დადგენა იყო.

1.4. გასაუბრება „ერეკლეს აბანოს“ თანამშრომლებთან

ფაქტობრივი გარემოებების შესწავლის მიზნით, 2019 წლის 8 ოქტომბერს, სახალხო დამცველის წარმომადგენელი იმყოფებოდა „ერეკლეს აბანოში“, რომელიც წარმოადგენს შპს „ჭრელი აბანოს“ დაწესებულებას. აბანოს მოლარემ/მენეჯერმა საუბრისას აღნიშნა: *მე თუ შენ არ შეგეხე ძუძუზე, ტრაკზე ისე როგორ გაბანავებ? მექისე უნდა შეეხოს ყველგან, ძუძუზეც, ტრაკზეც და ფეხზეც. ყოველთვის ესეა, ყველგან ეხება, აბა, ისე როგორ აბანავებს?* მან დამატებით აღნიშნა, რომ მექისემ კაცი აბანავა და შემდეგ ალბათ *ესეც (იგ. განმცხადებელი) დაუწვა და თუ არ უნდოდა რატომ დაუწვა? შეეძლო მას გამოსულიყო.* ასევე, დადგენილი წესი არ არსებობს, რომ ქისა ერთი სქესის წარმომადგენლებს შორის კეთდება, თუ ქალს სურვილი აქვს, მას ქისას კაცი გაუკეთებს. მოგვიანებით საუბარში ჩაერთო დამლაგებელი, რომელმაც თქვა, რომ მასაჟი ყველგან კეთდება *მათ შორის მკერდზეც.*

მოლარე/მენეჯერთან გასაუბრების შემდეგ სახალხო დამცველის წარმომადგენელი გაესაუბრა შპს „ჭრელი აბანოს“ აღმასრულებელ დირექტორს ჯ.მ.-ს, რომელმაც აღნიშნა, რომ ესპანელი სტუმრები იყვნენ *ინტრიგნები და არაადეკვატურები.* მან ასევე მიუთითა, რომ *ვიღაცისთვის ინტიმური ზონა არის კისერი და თეძოები,* ვიღაცისთვის - სხვა ადგილი. ხოლო იქ დასაქმებული მექისეები არიან პროფესიონალები. მან აღნიშნა, რომ *პილინგი კეთდება მთელ სხეულზე და შემდეგ ხდება საპნის მასაჟი მთელ სხეულზე* და რომ აბანოში ჩაცმული არავინ შედის და ყველა *ზეწარმოხვეულია. გენიტალიებზე, მკერდზე და კისერში არავინ არ კოცნის,* მაგრამ შეხების გარეშე შეუძლებელია მასაჟის გაკეთება. მასაჟის მიმდინარეობა შინაგანაწესით არის გაწერილი და ის კეთდება მთლიანად, თუმცა, აღმასრულებელმა დირექტორმა მოგვიანებით აღნიშნა, რომ მასაჟის გაკეთების ტექნიკა გაწერილი არ არის.

აღმასრულებელმა დირექტორმა რამდენჯერმე აღნიშნა, რომ მკერდზე მასაჟს არავინ აკეთებს მათ დაწესებულებაში, რადგან მკერდი არის *ფაქიზი ორგანო,* რომელიც შეიცავს ცხიმებს და

არასწორმა დაწოლამ შეიძლება გართულება გამოიწვიოს. შესაბამისად, მკერდზე მასაჟი კეთდება სპეციალური პროფესიონალის მიერ სპეციალური სითხით. მან ასევე აღნიშნა, რომ ის მექისე პროფესიონალია, რომელიც კვლავ მათთან მუშაობს და დარწმუნებულია, რომ მკერდზე მასაჟს არავის გაუკეთებდა. შესაძლოა, მას იდაყვი მოუხვდა და განმცხადებელმა შეხებაში სწორედ ეს იგულისხმა, თუმცა, მკერდის მასაჟს არავინ აკეთებს მათ დაწესებულებაში. დირექტორმა ასევე მიუთითა, რომ იძულებას ადგილი არ ჰქონია, ქალბატონი იყო სრულწლოვანი, თუ ის წინააღმდეგი იყო, არ უნდა გაეხადა და მექისე მამაკაცს მასაჟზე არ უნდა დასთანხმებოდა. მან ასევე აღნიშნა, რომ *21-ე საუკუნეში ქალბატონებისთვის მკერდი ზოგადად აღარ ითვლება ინტიმურ ზონად* და ქუჩაშიც ქალები *ნახევრად შიშვლები დადიან და ძალიან ბევრ მათგანს უნდა მკერდზე მასაჟის გაკეთება.* საუბარში ჩაერთო ოთახში შემოსული უცნობი პირი, რომელმაც დაადასტურა აღმასრულებელი დირექტორის განმარტება და დამატებით აღნიშნა, რომ *ალბათ, თავად მათ მოითხოვეს კაცი მექისე და ისიც იმიტომ დასთანხმდა ქისის გაკეთებას, თუმცა, ზოგადად აკრძალულია კაცი მექისის მიერ ქალისთვის მომსახურება.*

2. საქართველოს სახალხო დამცველის შეფასება

საქმეში არსებული მასალების შესწავლის შედეგად, სახალხო დამცველმა გამოკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი გარემოება, რომელიც წინამდებარე გადაწყვეტილებაში შეფასდება:

- უდავო ფაქტორივი გარემოებაა, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინსიტრომ ვერ გამოკვეთა სექსუალური შევიწროების ფაქტი. აღნიშნულს ადასტურებს სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის წერილი, რომლის თანახმად, *აღნიშნული საქმე შესწავლილი იქნა სექსუალური შევიწროების ჭრილშიც, მოწმეებს დაესვათ რელევანტური კითხვები სექსუალური შევიწროების გამოკვეთის მიზნით. გამოკითხვის დროს აღნიშნულმა პირებმა განაცხადეს, რომ მათ მიმართ ადგილი არ ჰქონია სექსუალურ შევიწროებას, სექსუალურ ძალადობას ან სხვა რაიმე სახის იძულებას. მოწმეთა განმარტებით, ადგილი ჰქონდა გაუგებრობას და მათ არავის მიმართ არ აქვთ პრეტენზია*;
- შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში გამოძიება მხოლოდ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 185-ე მუხლის (ქონებრივი დაზიანება მოტყუებით) პირველი ნაწილით მიმდინარეობს;
- მიუხედავად, იმისა, რომ, მოპასუხის მტკიცებით, განმცხადებელს არავის მიმართ არ აქვს პრეტენზია, საპირისპიროზე მიუთითებს განმცხადებელი სახალხო დამცველის აპარატში წარმოდგენილი განცხადებაში. ამასთან, მოვლენების თვითმხილველი ოთხი მოწმე ადასტურებს, რომ განმცხადებელს საქმის შესწავლა სექსუალური შევიწროების კონტექსტში სურდა;
- სახალხო დამცველის აპარატმა შსს-ს სამჯერ განუმარტა წერილობით, რომ სექსუალური შევიწროების კონტექსტში საქმის შესწავლის საჭიროება არსებობდა.

აღნიშნულს ითხოვდა განმცხადებელიც, თუმცა სათანადო რეაგირება დღემდე არ მომხდარა;

- ესპანეთის სამი მოქალაქე - განმცხადებელი და მისი მეგობრები აცხადებენ, რომ ქართულ ენაზე შედგენილ დოკუმენტებს ხელი შინაარსის გაცნობის გარეშე მოაწერეს;
- განმცხადებელს ინტიმური ხასიათის დეტალები რამდენჯერმე, 2 საათის განმავლობაში, უცნობი პირებისა და მექისის თანდასწრებით ქუჩაში გაამეორებინეს. აღნიშნულს ადასტურებს ოთხი თვითმხილველი მოწმე;
- ოთხი მოწმე ადასტურებს ერთგვარ ირიბ ზეწოლას. მაგალითად, საპატრულო პოლიციის წარმომადგენლებმა რამდენჯერმე გაიმეორეს, რომ *საქმის მსვლელობას შესაძლოა მექისის დაპატიმრება მოჰყოლოდა; რამდენად ღირდა ასეთი შედეგის დადგომა?* მინიშნება, რომ განმცხადებელი საქართველოს ვერ დატოვებდა და რომ დოკუმენტებზე ხელის არ მოწერის შემთხვევაში, ისინი ვერ დატოვებდნენ პოლიციის განყოფილებას;
- საპატრულო პოლიციის თანამშრომლებს არ ჰქონდათ სათანადო სამართლებრივი ცოდნა, თუ რა რეაგირება უნდა მომხდარიყო სექსუალურ შევიწროებაზე. აღნიშნულს ადასტურებს ერთი მოწმე, რომელსაც ეკითხებოდნენ, თუ რა სამართლებრივი რეაგირების საშუალება არსებობს სექსუალურ შევიწროებასთან მიმართებით. ამაზე მიუთითებს გამოძახებული რამდენიმე ეკიპაჟი და პოლიციის წარმომადგენლების განცხადება, რომ მექისეს დაპატიმრება ემუქრებოდა;
- განმცხადებელი და მისი ორი მეგობარი ადასტურებენ, რომ მათი გამოკითხვა გაგრძელდა დილის 05:30 საათამდე. თავდაპირველად 2 საათის განმავლობაში - ქუჩაში და შემდეგ, რამდენიმე საათის განმავლობაში - პოლიციის განყოფილებაში. გამთენიამდე გამოკითხვა, შესაძლოა, იწვევდეს ეჭვს, რომ განმცხადებლის მიერ სექსუალური შევიწროების ფაქტის გამოკვლევაზე უარის თქმას ისახავდა მიზნად.

2.1. სექსუალური შევიწროების შესახებ ზოგადი სამართლებრივი სტანდარტი

ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ გაეროს კომიტეტი სექსუალურ შევიწროვებას მიიჩნევს ქალთა მიმართ ძალადობის ერთ-ერთ ფორმად[1] და აღნიშნავს, რომ თანასწორობას რეალური საფრთხე ექმნება, როდესაც ქალი გენდერული ნიშნით ძალადობის ამ ფორმას ექვემდებარება.[2] ასევე, სექსუალურ შევიწროვებად უნდა ჩაითვალოს მითითებები გარეგნობაზე, სხეულის ნაწილებზე, სხეულზე შეხება სექსუალური

[1] UN Committee on the Elimination of Discrimination against Women (CEDAW), General Recommendation No. 12: Violence against women, 1989, §1, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: http://www.un.org/womenwatch/daw/cedaw/recommendations/recomm.htm#recom12

[2] UN Committee on the Elimination of Discrimination against Women (CEDAW), General Recommendation No. 19: Violence against women, 1992, §17

კავშირის დამყარების მიზნით, ან აღნიშნული მიზნის გარეშე, არასასურველი ჩახუტება, კოცნა. ზეწოლა სექსუალური კავშირის დამყარების მიზნით.[3]

ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ევროპის საბჭოს კონვენციის („სტამბოლის კონვენცია“) მე-40 მუხლიც სექსუალურ შევიწროვებას ქალთა მიმართ ძალადობის გამოვლინებად მოიაზრებს. კონვენციის განმარტებითი ბარათის თანახმად, სექსუალური შევიწროება მრავალი ფორმით შეიძლება გამოვლინდეს, ეს შეიძლება იყოს წერილობითი ან ზეპირი ფორმით სექსუალური ხასიათის ნებისმიერი შენიშვნა, შეკითხვა, ხუმრობა; ასევე, ფიზიკური კონტაქტი, როგორიცაა, შეხება, მოფერება, ჩქმეტა ან ფიზიკური თავდასხმა. **ფიზიკურ შეხებაში იგულისხმება ნებისმიერი სექსუალური ხასიათის ქცევა რომელიც მსხვერპლის სხეულზე არასასურველ შეხებას გულისხმობს.** ზემოაღნიშნული ქმედებები უნდა იყოს ადამიანისათვის შეურაცხმყოფელი და აკნინებდეს მის ღირსებას.[4]

2019 წლის 19 თებერვალს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საქართველოს კანონის“ მე-2 მუხლს დაემატა მე-3[2] პუნქტი, რომლის თანახმად, *სექსუალური შევიწროება არის სექსუალური ხასიათის ნებისმიერი არასასურველი სიტყვიერი, არასიტყვიერი ან ფიზიკური ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს პირის ღირსების შელახვას ან მისთვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას.*

სექსუალურ შევიწროებას არ სჭირდება მოტივი, სექსუალური ხასიათის ქცევა თავისთავად შეიძლება შეურაცხმყოფელი იყოს სავარაუდო მსხვერპლისთვის, შემავიწროებლის განზრახვის მიუხედავად. საკმარისია, რომ ქმედებას ჰქონდეს დისკრიმინაციული გავლენა, რამდენადაც, ყურადღება უნდა გამახვილდეს არა განზრახვაზე, არამედ ქმედების შედეგზე.[5] სექსუალური შევიწროების დასადგენად ქცევის არასასურველობას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება, თუმცა, ეს არ გულისხმობს ქმედების „იძულებითობას.“ მნიშვნელოვანია, ხაზი გაესვას ქმედების არასასურველობის განჭვრეტადობასაც. მსხვერპლი შესაძლოა ეთანხმებოდეს კონკრეტულ ქცევას და აქტიურადაც მონაწილეობდეს, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა მისთვის ქმედება უსიამოვნო და შეურაცხმყოფელი იყოს.[6] იმ შემთხვევაშიც კი, თუ მსხვერპლი არ აფიქსირებს, რომ მისთვის ქცევა არასასურველია, ეს არ გამორიცხავს შემავიწროებელი პირის პასუხისმგებლობას, ვინაიდან გონივრულობის ფარგლებში, შემავიწროებელს უნდა სცოდნოდა (ought to have known), რომ კონკრეტული სექსუალური

---

[3] UN, What is Sexual Harassment?, გვ. 1-2, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: http://www.un.org/womenwatch/osagi/pdf/whatissh.pdf

[4] Council of Europe, Explanatory Report to the Council of Europe Convention on preventing and combating violence against women and domestic violence, 2011, § 208, გვ. 33-35, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: https://rm.coe.int/16800d383a

[5] Ontario Human Rights Commission, Policy on preventing sexual and gender-based harassment, 7. Burden of Proof, Evidentary Issues, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: http://www.ohrc.on.ca/en/policy-preventing-sexual-and-genderbased-harassment/7-burden-proof-evidentiary-issues-0#_ftn154

[6] UN, What is Sexual Harassment?, გვ. 1, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: http://www.un.org/womenwatch/osagi/pdf/whatissh.pdf

ხასიათის ქცევა მიუღებელი იქნებოდა მსხვერპლისათვის. აღნიშნული მიდგომა აწესებს სექსუალური შევიწროებისათვის სუბიექტურობისა და ობიექტურობის ტესტს, რომელშიც სუბიექტურობის კომპონენტი არის შემავიწროებლის დამოკიდებულება მისი ქცევის მიმღებლობასთან დაკავშირებით, ხოლო ობიექტურობის კომპონენტი კი ყურადღებას ამახვილებს, თუ როგორ იქნებოდა კონკრეტული ქცევა მიღებული, გონივრულობის ფარგლებში, მესამე პირის მიერ.[7] თავის მხრივ, ქალის მიერ გონივრული აღქმის სტანდარტი (reasonable woman standard) მხედველობაში იღებს სექსუალური შევიწროების ფაქტის თაობაზე ქალისა და მამაკაცის განსხვავებულ აღქმებს. აღნიშნული სტანდარტი, სექსუალური შევიწროების ფაქტს განიხილავს ქალის პერსპექტივიდან და წარმოადგენს გენდერულად მგრძნობიარე მიდგომას.[8] სექსუალური შევიწროების ფაქტის ქალის მიერ გონივრული აღქმის სტანდარტი (reasonable women standard) გამორიცხავს, რომ სექსუალური შევიწროების ფაქტი უნივერსალურად მიღებული წესით განისაზღვროს და შეფასდეს ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა ქმედება.

2.2. სექსუალური შევიწროების საქმის შესწავლისას დაშვებული პროცედურული ხარვეზები

სექსუალური შევიწროების დროს არ არის აუცილებელი, არსებობდეს შესადარებელი სუბიექტი, ვინაიდან შევიწროება, რა ფორმითაც არ უნდა გამოვლინდეს ის, **თავისთავად არის არასწორი ქმედება** თავისი პოტენციური შედეგებიდან გამომდინარე, რაც თავის თავში მოიცავს შევიწროების **მსხვერპლის ღირსების შელახვას.**[9] ამასთან, ხშირ შემთხვევაში, შესაძლოა ადგილი არ ჰქონდეს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლების დარღვევას.

სახალხო დამცველი განმარტავს, რომ სექსუალური შევიწროება ყოველთვის იწვევს პირის ღირსების შელახვასა და დამცირებას. განსაკუთრებით, თუ სექსუალური შევიწროება გამოხატულია ინტიმურ ადგილებზე ფიზიკური შეხებით.

სავარაუდო სექსუალური შევიწროების შემთხვევის შესახებ მსჯელობისას საჭიროა ასევე იმ სოციალური კონტექსტის გათვალისწინება, რომელშიც ხდება ქცევა და სწორედ ამ კონტექსტისადმი შესაბამისი დამოკიდებულება იძლევა საშუალებას, რომ ობიექტურად შეფასდეს, რამდენად გონივრულად მოხდა სექსუალური ქცევის აღქმა მსხვერპლის მიერ.[10] ზოგადი მიდგომის გამოყენებამ, ისეთ შემთხვევებში, როდესაც სოციალურად განსაზღვრული

---

[7] Ontario Human Rights Commission, Policy on preventing sexual and gender-based harassment, 2.1. Defining Sexual Harassment, ხელმისაწვდომი ვებ-გვერდზე: http://www.ohrc.on.ca/en/policy-preventing-sexual-and-gender-basedharassment/2-identifying-sexual-harassment#_ftn11

[8] Bonnie B. Westman, The Reasonable Woman Standard: Preventing Sexual Ha rassment in the Workplace , William Mitchell Law Review, Vol. 18, გვ. 808, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: https://open.mitchellhamline.edu/cgi/viewcontent.cgi?article=2295&context=wmlr

[9] European Union Fundamental Rights Agency, Council of Europe, Handbook on European anti-discrimination Law, 2010, გვ. 32, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: http://www.echr.coe.int/Documents/Handbook_non_discri_law_ENG_01.pdf

[10] Supreme Court of the United States, Josef Oncale, Petitioner v. Sundowner Offshore Services, Incorporater, et al., No. 96-568, 1998, II, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: https://www.law.cornell.edu/supct/html/96- 568.ZO.html

გენდერული ნორმები არსებობს, შესაძლოა დისკრიმინაციული შედეგი გამოიწვიოს.[11] განსახილველ საქმეში, მნიშვნელოვანი გარემოებაა ისიც, რომ განმცხადებელი და მისი მეგობრები იმყოფებოდნენ უცხო ქვეყანაში, არ საუბრობდნენ ქართულად, არ იცნობდნენ ქართულ კულტურას და მიიჩნევენ რომ კაცის მიერ ქისის გაკეთება შესაძლოა სოციალურად მისაღები ქცევა ყოფილიყო. განსაკუთრებით ხაზგასასმელია, რომ, ხშირად, შემავიწროებლები ხშირად სარგებლობენ მსხვერპლების დაბნეულობით, დაუცველი მდგომარეობით და იყენებენ თავიანთ პროფესიულ სტატუსს.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, კონსტიტუციის მე-17 მუხლის [ძველი რედაქცია] პირველი პუნქტის *მთავარი ღირებულება არის ადამიანი, როგორც თვითმყოფადი, თავისუფალი და სხვა ადამიანების თანასწორი სუბიექტი…ღირსება ადამიანს აქვს იქედან გამომდინარე, რომ ის ადამიანია ... ადამიანის ღირსების პატივისცემა გულისხმობს ყოველი ადამიანის პიროვნულ აღიარებას…ღირსებაში იგულისხმება სოციალური მოთხოვნა სახელმწიფოს მხრიდან ადამიანის პატივისცემაზე.*[12]

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში *Y. v. Slovenia* იმსჯელა სექსუალური დანაშაულის მსხვერპლის უფლების ფარგლებზე. სასამართლომ განმარტა, რომ მსხვერპლის გამოკითხვის დროს მნიშვნელოვანია მე-8 მუხლით (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება) გარანტირებული პირადი ცხოვრების უფლება იყოს დაცული. განსაკუთრებით ფრთხილი მოპყრობაა საჭირო, როდესაც დავა ეხება სექსუალური ხასიათის ძალადობას და მსხვერპლს უწევს უფლების ხელმყოფთან დაპირისპირება.[13] ევროპული სასამართლო, მსხვერპლის უფლებრივი პერსპექტივიდან საკითხის შეფასებისას, დაეყრდნო საერთაშორისო ინსტრუმენტებს და ხაზი გაუსვა ევროსაბჭოს სტამბოლის კონვენციის მნიშვნელობას, რომელიც სახელმწიფოებს მსხვერპლების დაცვას ავალდებულებს. დაცვის ვალდებულება გულისხმობს მსხვერპლების დაცვას დაშინებისა და განმეორებითი ვიქტიმიზაციისაგან. ასევე, სასურველია, მსხვერპლმა ჩვენება უფლებაშემლახველის/მოძალადის გარეშე მისცეს.[14] ასევე აღსანიშნავია, რომ გამოკითხვისას, საერთაშორისო სტანდარტი კრძალავს მსხვერპლების

[11] Ann C. McGinley, Reasonable Men?, Connecticut Law Review, Vol. 45, 2012, გვ. 31, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://scholars.law.unlv.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1768&context=facpub

[12] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის N2/2-389 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე მაია ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ“, II-30

[13] ECtHR, *Y v. Slovenia,* no. 41107/10, 28/05/2015, § 103

[14] ECtHR, *Y v. Slovenia,* no. 41107/10, 28/05/2015, § 104**:** *In this connection, the Court notes that the Council of Europe Convention on Preventing and Combating Violence against Women and Domestic Violence requires the Contracting Parties to take the necessary legislative and other measures to protect the rights and interests of victims. Such measures involve, inter alia, protection from intimidation and repeat victimisation, enabling victims to be heard and to have their views, needs and concerns presented and duly considered, and enabling them, if permitted by applicable domestic law, to testify in the absence of the alleged perpetrator.*

არაკომფორტულ მდგომარეობაში ჩაყენებას და მათ მიმართ არაემპათიურ დამოკიდებულებას.[15]

უდავოდ დასტურდება, რომ პოლიციის თანამშრომლები განმცხადებელს კითხავდნენ მექისის თანდასწრებით, ახსენებინებდნენ სექსუალური ხასიათის დეტალებს, რითიც უახლებდნენ სტრესს. როგორც განხილული პრაქტიკა ცხადყოფს, მსგავსი ფორმით გამოკითხვა ეწინააღმდეგება ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას. ამასთან, გამოკითხვა მიმდინარეობდა იმ მიმართულებით, რომ მსხვერპლს უარი ეთქვა სექსუალური შევიწროების კუთხით საქმის წარმართვაზე და მექისე შეცოდებოდა. ამაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ განმცხადებელს ოქმები არ გააცნეს მისთვის გასაგებ ენაზე, ეკითხებოდნენ, ღირდა თუ არა მექისის დაკავება, გამოკითხვა მიმდინარეობდა ხანგრძლივი დროის განმავლობაში ქუჩაში და შემდეგ პოლიციის განყოფილებაში. განმცხადებელს ეუბნებოდნენ, რომ ის ქვეყანას ვერ დატოვებდა თუ საქმეს მსვლელობას მისცემდა; ასევე, თუ ხელს არ მოაწერდა დოკუმენტებს, ვერ დატოვებდა პოლიციის შენობას. ეს და სხვა დეტალები მიუთითებს, რომ პოლიციის ქმედებები ეწინააღმდეგებოდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით დაცულ სიკეთეს.

შესაბამისად, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ ერთი მხრივ, განმცხადებელს ღირსება შეელახა გაშიშვლების მოთხოვნითა და, მისი ნებართვის გარეშე, ინტიმურ ადგილზე, ხელის მოკიდებით. მეორე მხრივ, მან მეორადი ვიქტიმიზაცია განიცადა, როდესაც ქუჩაში, სხვებისა და მექისის თანდასწრებით, რამდენჯერმე გაამეორებინეს საქმის ინტიმური დეტალები. ასევე, განმცხადებელი დილის 06:00 საათამდე იმყოფებოდა გამოკითხვაზე, რაც კიდევ უფრო შემაშინებელი იქნებოდა პირისთვის, რომელიც იმყოფება უცხო სახელმწიფოში. შესაბამისად, შსს-ს მიერ დაშვებული პროცედურული შეცდომები, ცალსახად განმცხადებლის ღირსების უპატივცემულობას წარმოადგენს.

2.3. სექსუალური შევიწროება საჯარო სივრცეში და შინაგან საქმეთა სამინისტროს პოზიტიური ვალდებულებები

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166[1] მუხლის[16] თანახმად, საჯარო სივრცეში სექსუალური შევიწროება წარმოადგენს სამართალდარღვევას, აღსრულების მექანიზმად კი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროა განსაზღვრული.

---

[15] The Declaration of Basic Principles of Justice for Victims of Crime and Abuse of Power adopted by the United Nations General Assembly resolution 40/34 of 29 November 1985: „4. Victims should be treated with compassion and respect for their dignity.... 6 (d) The responsiveness of judicial and administrative processes to the needs of victims should be facilitated by (d) Taking measures to minimize inconvenience to victims, protect their privacy, when necessary, and ensure their safety, as well as that of their families and witnesses on their behalf, from intimidation and retaliation."

[16] *1. სექსუალური შევიწროება – საზოგადოებრივ ადგილებში პირის მიმართ არასასურველი სექსუალური ხასიათის ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს ან/და იწვევს მისი ღირსების შელახვას და ქმნის მისთვის დამაშინებელ, მტრულ, დამამცირებელ, ღირსების შემლახველ ან შეურაცხმყოფელ გარემოს, – გამოიწვევს დაჯარიმებას 300 ლარის ოდენობით.*

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებული ნეგატიური ვალდებულება სახელმწიფოს უკრძალავს ამ მუხლით დაცულ სფეროში უკანონო ჩარევას. თუმცა, ეს ნორმა სახელმწიფოს ასევე აკისრებს პოზიტიურ ვალდებულებებს, რაც გამოიხატება ამ მუხლით უზრუნველყოფილი უფლების ეფექტიან დაცვაში.[17] პოზიტიური კონტექსტი შესაძლოა მოიცავდეს ვალდებულებას, სახელმწიფომ გაატაროს ყველა შესაბამისი ღონისძიება, რათა დაცული იყოს მე-8 მუხლით გარანტირებული უფლებები, მათ შორის, პირადი ცხოვრება, თუნდაც ეს იყოს ორ კერძო პირს შორის ურთიერთობის ნაწილი.[18] სწორედ ამ კონტექსტშია განსახილველი სექსუალური შევიწროების აკრძალვა და სახელმწიფოს მიერ შესაბამისი ნორმების უზრუნველყოფა. აქედან გამომდინარე, უნდა შეფასდეს, რამდენად პასუხობს სამინისტროს ქმედებები პოზიტიური ვალდებულებების მოთხოვნებს.

როგორც აღინიშნა, სახალხო დამცველმა სამჯერ მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს, სათანადოდ შეესწავლა შესაძლო სექსუალური შევიწროების შემთხვევა. უდავო ფაქტორივი გარემოებაა, რომ სამინისტრომ ვერ გამოკვეთა სექსუალური შევიწროების ფაქტი, რაც განმარტა იმ არგუმენტით, რომ განმცხადებელმა, გამოკითხვის დროს, სექსუალური შევიწროების ფაქტები უარყო. თუმცა, საპირისპიროზე მიუთითებს სახალხო დამცველის მიერ გამოკვეთილი ფაქტობრივი გარემოებები, რომელზე დაყრდნობითაც სახალხო დამცველმა სამინისტროს ეფექტიანი რეაგირებისკენ არაერთხელ მოუწოდა.

კერძოდ, სახალხო დამცველის მიერ მოკვლეული ინფორმაციით, სექსუალური შევიწროების უშუალო ფაქტს ჰყავდა ორი თვითმხილველი მოწმე, რომელთა ახსნა-განმარტება სამინისტროს მიერ საქმის შესწავლის პროცესში მხედველობაში არ იქნა მიღებული. აპარატის წარმომადგენელთან როგორც დამლაგებელი, ასევე მოლარე/მენეჯერი ადასტურებდნენ, რომ ქისის დროს მკერდის მასაჟი მიღებული პრაქტიკაა, რაშიც სამართლებრივ გადაცდომას ვერ

---

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევის განმეორებით ჩადენა ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან 1 წლის განმავლობაში – გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით ან გამასწორებელ სამუშაოებს 1 თვემდე ვადით.

3. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევის სამართალდამრღვევისთვის წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის, ორსულის, უმწეო მდგომარეობაში მყოფის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მიმართ ან არასრულწლოვნის თანდასწრებით ჩადენა – გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარიდან 800 ლარამდე ოდენობით.

4. ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევის განმეორებით ჩადენა ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან 1 წლის განმავლობაში ან ორი ან ორზე მეტი პირის მიერ – გამოიწვევს დაჯარიმებას 800 ლარიდან 1000 ლარამდე ოდენობით ან გამასწორებელ სამუშაოებს 1 თვემდე ვადით ან ადმინისტრაციულ პატიმრობას 10 დღემდე ვადით.

შენიშვნა: *ამ კოდექსის მიზნებისთვის სექსუალური ხასიათის ქცევად მიიჩნევა სექსუალური ხასიათის ფრაზების თქმა ან/და მიმართვა, გენიტალიების ჩვენება ან/და სექსუალური ხასიათის სხვა ნებისმიერი არასიტყვიერი ფიზიკური ქცევა.*

[17] ECtHR, *Y v. Slovenia,* no. 41107/10, 28/05/2015, § 101

[18] ECtHR, *X and Y v. the Netherlands*, no. 8978/80, 26/03/1985, § 23

ხედავენ. ამასთან, დასაქმებულთა მიერ მოწოდებული ინფორმაცია ეწინააღმდეგება აღმასრულებელი დირექტორის პოზიციას, რომელმაც თავდაპირველად აღნიშნა, რომ შიდა რეგულაციით გაწერილია მასაჟის გაკეთების ტექნიკა, მოგვიანებით კი ამგვარი წესის არსებობა უარყო. აღმასრულებელმა დირექტორმა ასევე მიუთითა, რომ მათ დაწესებულებაში მკერდზე მასაჟი არ კეთდება და დარწმუნებულია, რომ მასთან დასაქმებული მექისე ასეთ გადაცდომას არ დაუშვებდა. ამასთან, დირექტორმა განმარტა, რომ დადგენილი პრაქტიკით, მომხმარებელს მასაჟს იმავე სქესის მექისე უკეთებს და მამაკაცი მექისე ქალს მხოლოდ მისივე მოთხოვნის შემთხვევაში მოემსახურებოდა. სამი პირი - განმცხადებელი და მისი მეგობრები კი მიუთითებენ, რომ ქალი მექისეს მომსახურებაზე იყვნენ შეთანხმებულები, მამაკაცი მექისეს მომსახურება კი არ მოუთხოვიათ.

დირექტორი ასევე მიიჩნევს, რომ *მკერდზე მასაჟი შეიძლება არც ჩაითვალოს შევიწროებად, რადგან ბევრ ქალს თავად აქვს ამისი სურვილი და ისინი ისეთი ჩაცმულები დადიან, 21-ე საუკუნეში მკერდი ნაკლებად ითვლება ინტიმურ ზონად.*

ბუნდოვანია, სახალხო დამცველის მიერ გამორკვეული ფაქტები სრულყოფილად იქნა თუ არა მოკვლეული შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ანდა დეტალურად შესწავლის შემთხვევაში, რატომ არ წარიმართა საქმის განხილვა შესაძლო სექსუალური შევიწროების ფაქტის მიმართულებით. განსახილველ შემთხვევაში, გარემოებები არ გამოკვლეულა სრულყოფილად - მხედველობაში არ იქნა მიღებული უშუალო თვითმხილველთა მიერ მიწოდებული ინფორმაცია. ასევე, საქმეში არ იკვეთება სამინისტროს მხრიდან „ჭრელი აბანოს“ ხელმძღვანელ და დასაქმებულ პირებთან გასაუბრების მცდელობა. ამასთან, საპატრულო პოლიციის თანამშრომლების კითხვა მოწმისადმი, თუ რა სახის რეაგირება უნდა მოეხდინათ სავარაუდო სექსუალური შევიწროების ფაქტზე, მიუთითებს საკითხის შესახებ ინფორმაციის ნაკლებობაზე.

ფაქტობრივი გარემოებების შეფასების საფუძველზე, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ ვერ შეასრულა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166[1] მუხლით გათვალისწინებული პოზიტიური ვალდებულება, ეფექტიანად შეესწავლა სავარაუდო სექსუალური შევიწროების შემთხვევა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20[1] მუხლით და ,,დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, სახალხო დამცველი რეკომენდაციით მიმართავს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს:

- განმეორებით, სრულყოფილად შეისწავლოს სავარაუდო სექსუალური შევიწროების აღნიშნული ფაქტი;
- შეისწავლოს შინაგან საქმეთა სამინსიტროს აღნიშნული საქმის განხილვაში მონაწილე თანამშრომლების შესაძლო გადაცდომები;

- შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებისთვის, რომელთაც ევალებათ სავარაუდო სექსუალური შევიწროების საქმეზე რეაგირება, უზრუნველყოს/განაგრძოს ტრენინგების ჩატარება, რომლის მიზანია, მათ შორის, სექსუალური შევიწროების მსხვერპლთან კომუნიკაციის ფსიქოლოგიურ ასპექტებზე სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდება.

ამასთან, საქართველოს სახალხო დამცველი გამოთქვამს მზადყოფნას, განაგრძოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებისთვის ტრენინგების უზრუნველყოფაში მონაწილეობა.

გთხოვთ, თქვენ მიერ გატარებული ღონისძიებების თაობაზე მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

პატივისცემით,